# მ ო წ ვ ე ვ ა

## საჯარო ტენდერში მონაწილეობაზე

| | |
|---|---|
| პროექტის დასახელება: | ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი **„გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ინფორმირებულობა (CAPCA)“** |
| შემსყიდველი: | **საქართველოს ფერმერთა ასოციაცია GFA** |
| შესყიდვის საგანი: | **საფუტკრე მეურნეობისათვის საჭირო ინვენტარისა და ტექნიკის შესყიდვა.** |
| რაოდენობა: | იხ. დანართ N2-ში. |
| მიწოდების ვადა: | ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 45 კალენდარული დღისა. |

1. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს (იურიდიულ პირებს), წარმოადგინონ საჯარო ტენდერში ტექნიკური და ფინანსური წინადადებები **საფუტკრე მეურნეობისათვის საჭირო ინვენტარისა და ტექნიკის შესყიდვაზე.**
2. წარმოდგენილი ინვენტარი და აღჭურვილობა უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არამყოფი და უნდა შეესაბამებოდეს იმ ტექნიკურ მახასიათებლებს, რომლებიც მოცემულია **დანართ N4-ში.**
3. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ინვენტარისა და აღჭურვილობის შესყიდვამდე, განახორციელოს მათი მდგომარეობის შემოწმება და დაადგინოს მათი შესაბამისობა არსებულ მოთხოვნებთან.
4. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი უნდა აკამყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
   4.1. პრეტენდენტს 01.01.2021-დან 01.09.2025-ის პერიოდში უნდა ჰქონდეს ანალოგიური ტიპის ინვენტარისა და აღჭურვილობის მიწოდების გამოცდილება, **ჯამურად არანაკლებ 100,000.00 ლარის ღირებულების შესრულებული სამუშაო.** ინფორმაციის დასადასტურებლად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს: სრულად შევსებული და დამოწმებული **დანართი N3** გამოწერილ ზედნადებებთან და ანგარიშფაქტურებთან ერთად.
5. ფინანსური წინადადება **(დანართი N2)** უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, და წარმოდგენილ უნდა იქნას **დღგ-ს გარეშე,** ეროვნულ ვალუტა **ლარში.** საავანსო ანგარიშსწორება გამოიყენება მხოლოდ წარმოდგენილი გარანტიის (საბანკო, სადაზღვევო) შემთხვევაში.
6. **გამარჯვებულის გამოვლენა:** მოწოდებულ წინადადებებს შეაფასებს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ შექმნილი კომისია. უპირატესობა მიენიჭება იმ მონაწილეს, რომლის წარმოდგენილი ფინანსური წინადადება იქნება უმცირესი და დააკმაყოფილებს ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
7. დოკუმენტაცია და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონულად, სკანირებული ფორმით **დანართი N1-ის, დანართი N2-ის, დანართი N3-ის, დანართი N4 ის** შესაბამისად (ქართულ ენაზე), რომლებიც დამოწმებული უნდა იყოს პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, არა უგვიანეს **2025 წლის 20 ოქტომბრის, 18:00 სთ-სა** შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: procurement@gfa.org.ge აღნიშნული თარიღის შემდეგ მოწოდებული წინადადებები არ იქნება განხილული.

კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ: kzhorzhikashvili@gfa.org.ge